ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს
2016 წლის 22 დეკემბრის სხდომის
ოქმი N 17

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016 წლის 22 დეკემბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს 39 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 29.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

<u>**დღის წესრიგი:**</u>

1. სადისერტაციო საბჭოების დამტკიცება
2. მინიმალურ სამეცნიერო სტანდარტში შესწორებების შეტანა
3. ცვლილება სასწავლო პროგრამაში
4. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი – სადისერტაციო საბჭოების დამტკიცება. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან საბჭოს წევრებს აცნობა, რომ დღევანდელ სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილია ყველა დეპარტამენტის სადისერტაციო საბჭო, გარდა ბიოლოგიისა. ბატონმა რამაზმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ საბჭოში გარედან მოიწვიეს წევრები, ზოგან დაამატეს ასისტენტ-პროფესორები. შემდეგ მან საბჭოს წევრებს ცალ-ცალკე გააცნო წარმოდგენილი ოქმები (იხ. დანართები 1.1-1.7).

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილი სადისერტაციო საბჭოების დამტკიცების საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის, გეოლოგიის, კომპიუტერული მეცნიერებების და ელექტრონიკის სადისერტაციო საბჭოები (იხ. დანართები 1.1-1.7) წარმოდგენილი თავმჯდომარეებითა და მდივნებით, ასევე მოწვეული წევრებით:

მათემატიკა -
თავმჯდომარე - პროფესორი თ.თადუმაძე,
მდივანი - ასოცირებული პროფესორი - ო.ჯოხაძე;

ფიზიკა -
თავმჯდომარე - პროფესორი ნ.შათაშვილი,
მდივანი - ასოცირებული პროფესორი - გ.ციციშვილი;

ქიმია -

თავმჯდომარე - პროფესორი შ.სამსონია,
მდივანი - ასოცირებული პროფესორი - მ.რუხაძე;

კომპიუტერული მეცნიერებები -
თავმჯდომარე - პროფესორი გ.სირბილაძე,
მდივანი - ასოცირებული პროფესორი - ი.ხუციშვილი;

გეოგრაფია -
თავმჯდომარე - პროფესორი დ.კერესელიძე,
მდივანი - ასოცირებული პროფესორი - გ.მელაძე;

გეოლოგია -
თავმჯდომარე - პროფესორი ბ.თუთბერიძე,
მდივანი - ასოცირებული პროფესორი - კ.აქიმიძე,
მოწვეული წევრები: ალ.ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი თამარ წუწუნავა, მ.ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, აკადემიკოსი თამაზ ჭელიძე, ალ.ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მიხეილ კაკაბაძე.

ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის -
თავმჯდომარე - პროფესორი გ.ღვედაშვილი,
მდივანი - ასოცირებული პროფესორი - დ.კაკულია.
მოწვეული წევრები: ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორები ლევან შოშიაშვილი და ცისანა გავაშელი, ემერიტუს პროფესორი რევაზ ზარიძე.

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი – მინიმალურ სამეცნიერო სტანდარტში შესწორებების შეტანა. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ 2017 წლიდან მინიმალური სამეცნიერო სტანდარტის მიხედვით (იხ. თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება 122/2014) აკადემიურმა პერსონალმა უნდა შეასრულოს 100 ქულა. მსგავსი სქემა ჩვენს ფაკულტეტზე უკვე 3 წელია მოქმედებს. ბატონმა რამაზმა საბჭოს წევრებს შესთავაზა, რომ თუ მინიმალურ სამეცნიერო სტანდარტის მიხედვით მინიმალური სახელფასო კატეგორიისათვის სტანდარტი შეადგენს 100 ქულას (100%), მაშინ შუა სახელფასო კატეგორიისთვის იყოს არანაკლებ 110%, ხოლო უმაღლესი კატეგორიისთვის - არანაკლებ 120%.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ა.შენგელაიამ, გ.სირბილაძემ, ნ.დორეულმა, ნ.შათაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილი საკითხს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: თუ მინიმალურ სამეცნიერო სტანდარტის მიხედვით მინიმალური სახელფასო კატეგორიისათვის სტანდარტი 100 ქულაა (100%), დამტკიცდეს, რომ შუა სახელფასო

კატეგორიისთვის იყოს არანაკლებ 110%, ხოლო უმაღლესი კატეგორიისთვის - არანაკლებ 120% (იხ. თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება 122/2014).

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი – ცვლილება სასწავლო პროგრამაში. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა საბჭოს წევრებს გააცნო ქიმიის დეპარტამენტიდან შემოსული დასაბუთებული წერილი (იხ. დანართი) შუამდგომლობით, რომ სამაგისტრო პროგრამა „ქიმია"-ში მოხდეს 2 საგნის გადაადგილება. კერძოდ, მეცხრე საგანი „მეტალორგანულ ნაერთთა ქიმიური წექნოლოგია" გადატანილ იქნას მესამე სემესტრში, ხოლო მეათე საგანი „მეტალორგანული ნაერთების სინთეზი 1" - მეორე სემესტრში (იხ. დანართი 2).

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ ცვლილებას ქიმიის სასწავლო პროგრამაში.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: სამაგისტრო პროგრამა „ქიმია"-ში მოხდეს 2 საგნის გადაადგილება: მეცხრე საგანი „მეტალორგანულ ნაერთთა ქიმიური წექნოლოგია" (10 კრედიტი, 90 საკონტაქტო და 160 დამოუკიდებელი საათი, წინაპირობით 1, 3, 10) გადატანილ იქნას მესამე სემესტრში, ხოლო მეათე საგანი „მეტალორგანული ნაერთების სინთეზი 1" (10 კრედიტი, 90 საკონტაქტო და 160 დამოუკიდებელი საათი, წინაპირობით 1, 2) - მეორე სემესტრში.

3. მოისმინეს: მიმდინარე საკითხების შესახებ.

ა) მიმართვა რექტორს. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა აღნიშნა, რომ კორექტირებული წერილი საბჭოს წევრებს წინასწარ ჰქონდათ დაგზავნილი გასაცნობად. ახლა ამობეჭდილი წერილი საბჭოს წევრებს გადაეცა ხელმოსაწერად (იხ. დანართი 3).

აზრი გამოთქვას: პროფესორებმა ნ.კოტრიკაძემ. მან აღნიშნა, რომ წინა დღეს თსუ-ს საიტზე გამოქვეყნდა აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული თსუ განვითარების სტრატეგიული გეგმა (2017-2021), სადაც უკვე გათვალისწინებულია ჩვენი მთელი რიგი მოთხოვნები. თუმცა საბჭოს წევრების უმეტესობამ მიზანშეწონილად არ ჩათვალა წერილში აღნიშნული მოთხოვნების შეცვლა.

ბ) სიტყვით გამოვიდა კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის თავმჯდომარე, პროფესორი მ.ხაჩიძე. მან აღნიშნა, რომ ერასმუს+-ის პროგრამებით სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის გარდა, გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პერსონალის მობილობა. ქ-ნი მანანა ჩართულია ერთ-ერთ ასეთ პროექტში და სურს მონაწილეობა მიიღოს მობილობაში, როგორც დეპარტამენტის თავმჯდომარემ ან კათედრის გამგემ. თუმცა, ერასმუს+-ის პროგრამების გაიდლაინის თანახმად, ამისთვის საჭიროა, რომ დეპარტამენტის თავმჯდომარეს ან კათედრის გამგეს ადმინისტრაციული პერსონალის სტატუსი ჰქონდეს, თუნდაც საზოგადოებრის საწყისებზე. მას სურს, რომ ფაკულტეტის საბჭომ შუამდგომლობით მიმართოს თსუ ადმინისტრაციას, რათა დეპარტამენტის თავმჯდომარეს და კათედრის გამგეს მიენიჭოს ადმინისტრაციული პერსონალის სტატუსი საზოგადოებრივ საწყისებზე.

აზრი გამოთქვას: პროფესორებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული საქმიანობა გათვალისწინებულია სახელფასო კატეგორიებში, როგორც სერვისი.

გ) სიტყვით გამოვიდა კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის სტუდენტი გ.მაისურაძე. მან აღნიშნა, რომ სტუდენტთა ჯგუფთან ერთად მონაწილეობას იღებდა თსუ სტრატეგიული გეგმის დოკუმენტის შემუშავებაში. მათი სურვილების ნაწილი გათვალისწინებულიც იქნა. შემდეგ მან სურვილი გამოთქვა, რომ საბჭოს სხდომებზე დროის გარკვეული ნაწილი დაეთმოს სტუდენტების - არა საბჭოს წევრების - მოსაზრებების მოსმენას, რომ სტუდენტებიც ჩართულნი იყვნენ თსუ სტრატეგიული გეგმის განხორციელების პროცესში.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრეთ შეახსენა, რომ წინა სხდომაზე საბჭოს წევრ სტუდენტებს შესთავაზა ყოველ სდომაზე გარკვეულ დროს მათ მიერ წამოჭრილ თითო საკითხს დაუთმობენ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი